საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/33

10 თებერვალი, 2023 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თეონა კეკელიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **თეონა კეკელიძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის № 01-08/467 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის №06-01/82 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (06.02.2023, ოქმი N22-20/3) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 23 0000142173, 08.02/23) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ლიტერატურათმცოდნეობის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თეონა კეკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის **„ამირანიანის" ლექსითი, პროზაული და შერეული ვარიანტების ურთიერთმიმართება და მათი ტრანსმისია"**საჯარო დაცვა დაინიშნოს **2023 წლის 23 თებერვალს, 13:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ლიტერატურათმცოდნეობის“** დარგობრივი **სადისერტაციო** კომისია შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ინგა შამილიშვილი -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (**მდივანი**);

2.3. შორენა მახაჭაძე - ბსუ-ს პროფესორი;

2.4. მარინე გიორგაძე-ბსუ-ს პროფესორი;

2.5. მალხაზ ბალაძე - ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.6. ნანა ქაჯაია -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.7. შოთა ჯიჯიეშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი;

2.8. მანანა თავდგირიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი;

2.9. ფატი აბაშიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი **ანზორ ბერიძე**
(რექტორის მოვალეობის შემსრულებელი)